ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №13

ქ. ბათუმი 2018 წლის 28 სექტემბერი
16^{00} საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების “ თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების “ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მ. მეტრეველი;

ქ. ბათუმის მოქალაქე - ზ. სიამაშვილი;

საზოგადოება „ბათომის“ წევრები: შოთა გუჯაბიძე, ირმა ზოიძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგს დაემატა საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით ერთი საკითხი. დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

2. ,,ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 სექტემბერს საკრებულოს ბიუროს სხდომამდე შემოსული იყო მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებული საკითხები: ქ. ბათუმში, ალ. გრიბოედოვის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და მისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ და ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და მისთვის სენატორ ჯონ მაკკეინის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტები. მან მოითხოვა ზემოთ აღნიშნული საკითხების დღის წესრიგში შეტანა.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ვერ იქნება დღის წესრიგში შეტანილი, რადგან საჭიროებს სპეციალურ რეგულაციას. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილ ინიციატივას იხილავს მუნიციპალი-

ტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია, რომელიც მოსახლეობასთან კონსულტაციის დასრულების, საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე. მას გაუმართებლად მიაჩნია დღის წესრიგში ასეთი საკითხების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე საკითხი არ განიხილება, რადგან მოქალაქეებთან, სპეციალისტებთან გამოკითხვის შემდეგ საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია განიხილავს და გააკეთებს დასკვნას, დადებითი დასკვნის შემთხვევაში გაგზავნილი იქნება სამთავრობო კომისიაში და მთავრობის მიერ დასკვნის მიღების შემდეგ იმსჯელებს საკრებულო სახელის მინიჭების თაობაზე. გამომდინარე აქედან დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხების შეტანა მას არაკანონიერად მიაჩნია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა 21 სექტემბრის შემდეგ განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ სხდომის ჩაუტარებლობის თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ საკითხები უნდა იქნეს შესწავლილი, ვადები არ არის დარღვეული. მან შეახსენა, რომ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების ხანა დასრულდა, რის გამოც არ მიიღება ასეთი გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ მიმართა თავმჯდომარეს, რომ საკრებულო კოლეგიალური ორგანოა და ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის საფუძველზე. წარმოდგენილი ინიციატივები შეტანილი იქნას დღის წესრიგში და მსჯელობის, განხილვის საფუძველზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობით ვადები არ ირღვევა და არც დაიღვევა მისი მუშაობის პერიოდში. ყველა სამართლებრივ აქტებზე მიიღება კანონიერი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: - 2 (ა. დევაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 3 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ მისი ძირითადი მიმართულებაა ქალაქ ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიაზე დასახლებული მოსახლეობის პრობლემები, კერძოდ ახალსოფლის ტერიტორიაზე, გონიო-აფსაროსის მე-2 შესახვევში მოსაწესრიგებელია ქუჩები, ეზოები დატბორილია, გადასასვლელი ხიდი სავალალო მდგომარეობაშია, ფეკალური მასაა შეჭრილი სხვადასხვა დაწესებულებებიდან. აღნიშნულზე მიღებულია შემდეგი პასუხი: 2018 წლის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული და ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას. ასეთივე უარესი

მდგომარეობაა ანგისის I, II და III შესახვევებში, განცხადებას ხელს აწერს 70 მოქალაქე, ქუჩების მოუწესრიგებლობის გამო არ მოძრაობს სამარშრუტო ტრანსპორტი და ცენტრალურ ქუჩამდე უწევთ მოსახლეობას ფეხით სიარული.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გაზეთ ,,ბათუმელებში" თავმჯდომარის მიერ ნათქვამია, რომ არჩილ ტატუნაშვილის საკითხი ქუჩის მინიჭების თაობაზე ოფიციალურად არ იყო შეტანილი საკრებულო-ში, თუმცა განათლების კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. ასევე აღნიშნულ საკითხზე შემოსული ყოფილა მოსახლეობის საპროტესტო კოლექტიური წერილი, რომელიც მას არ უნახავს.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქს შემოერთებულ ტე-რიტორიაზე, ჩაქვში იმყოფებოდა შეხვედრაზე, სადაც მოსახლეობა ითხოვს ქუჩების ნუმერაციას და დასახელებას, რის გამოც სასწრაფო, სახანძრო მანქანებს უჭირთ ქუჩის მიგნება. ასევე მოსაწესრიგებელია კანალიზაცია.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ აღნიშნა, რომ ქალაქში ქუჩებს არ აქვს მანიშნებ-ლები და ნუმერაცია. ასევე საკრებულოს გადაწყვეტილებით ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის მინიჭებულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი, მაგრამ დღემდე არ არის გაკეთებული ქუჩაზე მანიშნებლები და ნუმერაცია. მოსახლეობა გაურკვევლობაშია და ითხოვენ რეაგი-რებას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ განცხადებებზე ითხოვს რეაგირებას და წერილობით პასუხებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისგან.

საკრებულოს წევრებმა, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა მ. ქამადაძემ, ნ. დუმბაძემ, რ. ზოიძემ პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომათა დარბაზი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალის-წინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონე-ბის) საკადასტრო კოდი #05.34.25.664) განაშე-ნიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორი-ისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ადმინი-სტრაციული წარმოება დაიწყო შპს ,,ელიტ კონსტრაქშენ გრუპ"-ს (ს/კ N445514658) მო-თხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება მწვანე კონცხის ტერიტორიაზე განმც-ხადებლის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდზე განაშენიანების რეგული-რების გეგმის დამტკიცებას. როგორც წარმოდგენილი ფოტომასალით და დოკუმენ-ტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მწვანე კონცხის

ტერიტორიაზე, მოიცავს ერთ საკადასტრო ერთეულს, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№ 05.34.25.664). მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საკურორტო სარეკრეაციო ზონას, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება. დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქ. ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის, კერძოდ მწვანე კონ-ცხის განვითარებას საკურორტო-სარეკრეაციო მიმართულებით, მისი მრავალ-ფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების გათვალისწინებით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა 28 სართულიანი შენობის აშენების შესაძლებლობის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კომპანია წარმოადგენს შესაბამის დასკვნებს, როგორც კონსტრუქციულს, ასევე გეოლოგიურს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს ნებისმიერმა პროექტმა.

საზოგადოება „ბათომის“ წევრებმა ირმა ზოიძემ და შოთა გუჯაბიძემ დასვეს შეკითხვა აღნიშნული ტერიტორიის სტატუსის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კომპანია ითხოვს საკუთრებაში არსებული ნაკვეთისთვის სარეკრეაციოს ნაცვლად-საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსის მინიჭებას. პროექტის ავტორების ინფორმაციით, შენობის ძირითად ნაწილს სასტუმრო დაიკავებს, იქნება აპარტოტელიც, საოფისე ფართობი, კაფე, რესტორანი, საბანკეტო და საკონფერენციო დარბაზები, სპა და ფიტნეს დარბაზები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ერთი თვის შიგნით მიეცემა კონკრეტული რეკომენდაცია კომპანიას, თუ რა სახით შეიძლება წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა საჯარო შეხვედრა. გაზეთ „აჭარაში“ და ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე იყო განთავსებული ინფორმაცია.

საზოგადოება „ბათომის“ წევრებმა ირმა ზოიძემ და შოთა გუჯაბიძემ პროტესტი გამოთქვა. მათი თქმით, რეკრეაციულ ზონაში კორ-

პუსების აშენება დაუშვებელია და მეორე: გადაწყვეტილებას ქალაქის მთავრობა საზოგადოების და დაინტერესებული პირების ჩართულობის გარეშე ღებულობს.

მომხსენებელმა მიმართა, რომ არანაირი შენიშვნა აქამდე არ შემოსულა, საქმისწარმოების დროს.

საზოგადოება „ბათომის“ წევრებმა შოთა გუჯაბიძემ და ირმა ზოიძემ კონკრეტული პასუხის გაცემა მოითხოვეს კითხვაზე: სად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მერიას მწვანე კონცხის მშენებლობის შესახებ საზოგადოების აზრი აინტერესებდა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მან არაერთხელ ისაუბრა ამის შესახებ საკრებულოს სხდომაზე, თქვა, რომ დაწყებულია ამ საკითხზე საქმისწარმოება.

საკრებულოს წევრს მ. ართმელაძეს აინტერესებს, ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ რეკრეაციული ზონაა, მაგრამ ზონა იცვლება, ეს იქნება საზოგადოებრივი საქმიანობის ზონა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია მე-2 საკითხის განხილვა, რომლის საფუძველზეც იწყება პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრი ნ. ზოიძე მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საკურორტო სარეკრეაციო ზონას, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (რ. თავართქილაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1 (ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ,,ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „მულტივერს არქიტექტურა“-ს მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს გოგებაშვილის ქუჩაზე, მოიცავს საკადასტრო კოდებს: №05.21.01.031; 05.21.01.030; 05.21.01.029; 05.21.01.018; 05.21.20.079; 05.21.20.070; 05.21.20.071; 05.21.20.084; 05.21.20.082; 05.21.21.015; 05.21.20.053; 05.21.20.076; 05.21.20.056; 05.21.20.087.

,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის, კერძოდ, გოგებაშვილის ქუჩის განვითარებას მისი მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს ვადასტურებ: რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია: ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა: მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი